მულტირელიგიური საქართველო

ქართველთა ჭეშმარიტი და მარადიული ტოლერანტობის ამბავი ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული სიამაყეა.

ჩემი აზრით, საქართველოში ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ტოლერანტობა დაცულია და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი და მოვლენა არსებობს.

დავიწყოთ ეთნიკური ტოლერანტობით. ამის შესანიშნავი მაგალითია სამხრეთ ოსეთი, სადაც საუკუნეების მანძილზე ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ ჩრდილო კავკასიელი ოსები. ამ ჩამოსახლებამ მოგვცა ის, რომ დღეს ოსი მოსახლეობა სახელმწიფოებრიობას ითხოვს, ჩვენ კი მათ ოს ძმებს ვეძახით. რომ არა ჩვენი ერის ტოლერანტობა, ეს ხალხი აქ ვერ ჩამოსახლდებდა. ასევე, ჩვენი სომეხი და აზეირბარჯანელი ძმები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს სამშობლოში, აქვთ საქართველოს მოქალაქეობა და დაუბრკოლებლად სარგებლობენ ყველა საჯარო სამსახურით, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა. თავიანთ დასახლებებში აქვთ საკუთარ ენაზე მომუშავე სკოლები და შეუძლიათ მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება. შევეხოთ სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც- - თურქებს და რუსებს, რომლებმაც მართლაც სისხლით გვაწერინეს ისტორია, მაგრამ ისინი მშვენივრად ცხოვრობენ ჩვენს საზოგადოებაში და საკმაოდ კომფორტულადაც გრძნობენ თავს, ჩვენმა ერმა მიიღო ეს საზოგადოებებიც გულთბილად, მიუხედავად ისტორიისაა.

და ბოლოს, მე ამას ეთნიკური ტოლერანტობის აღლუმს ვუწოდებ. ებრაელი ერი, რომლებიც 26 საუკუნეა ცხოვრობენ საქართველოში და მათ შეძლეს და შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობა, კულტურა და ეთნიკურობა, იმიტომ რომ არავინ არ აიძულებდა მათ შეცვლას.

როცა ვსაუბრობთ ეთნიკურ ტოლერანტობაზე, შეუძლებელია არ ვისაუბროთ კულტურულ ტოლერანტობაზე, რადგან ეთნიკას ყოველთვის მოსდევს საკუთარი კულტურა . საქართველომ მიიღო როგორც ეს ხალხი, ასევე მათ კულტურებიც. ამის შესანიშნავი მაგალითები გვაქვს. თუკი თქვენ მოინახულებთ ახალციხეს, ნახავთ სომხურ არქიტექტურას, მოისმენთ სომხურ სიმღერებს და აუცილებლად მოკრავთ ყურს სომეხი ერის სიდიადეზე საუბარს. მე ვფიქრობ, ეს უკვე სომეხი ერის კულტურაა.

სამყარო ხომ მრავალფეროვანია და მისგან მაინც ვისწავლოთ, როგორ ვიპოვოთ ჩვენი წილი ბედნიერების კუნჭული ამ ჰარმონიულ და მრავალფეროვან გარემოში! მაშინ ხომ აღარ იქნება კონფლიქტი, ბულინგი, ტერორი, ომი!!!

ამის მაგივრად შევინარჩუნოთ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა...

დავფიქრდი, ნეტავ როგორ ცხოვრობენ, აზროვნებენ, ურთიერთობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, ქისტები, ქურთები, ბოშები და ყველა ის ეროვნება, ვინც ჩვენთან ცხოვრობს, ვისი სამშობლოც საქართველოა? ისტორიის სახელმძღვანელოშიც ხომ ხშირად ვკითხულობ საქართველოს მულტიკულტურული მრავალფეროვნების შესახებ? ეს ხომ ის ხალხია, ვინც თავისი სამშობლო, საქართველო საოცარი ფერებით მორთო და გაამდიდრა? თუმცა საწინააღმდეგოც ბევრი მესმის, ხანდახან ვიბნევი კიდეც, როცა საუბრობენ საქართველოს ასიმილაციის საშიშროების, კარჩაკეტილი ცხოვრების აუცილებლობის შესახებ, განსხვავებულის პრინციპულ მიუღებლობაზე. არადა, კრწანისის ბრძოლაში, აღა-მაჰმად ხანმა რომ განსაკუთრებული სისასტიკით დახოცა ერეკლეს 200 ერთგული მეომარი, აზერბაიჯანელი მუსლიმანი არ იყო ასპინძის ბრძოლაში წარმატების ერთ-ერთი მთავარი ავტორიც, მტკვარზე ხიდის გადამხერხავნი აზერბაიჯანელები - ხუდია ბორჩალოელი და აღაბაბა ერისთავი,

ყოფილან. საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი, მუსლიმანი ქალი, 34 წლის ფარი ხანუმ სოფიევაც აზერბაიჯანელი ყოფილა, რასაც, იმდროინდელი პარლამენტარიზმის ისტორიაში ანალოგი არ აქვს. საიათნოვა? ქართული კულტურის დიდი მუხამბაზი. რა წაგვართვეს მათ ჩვენ? ისევ ჩვენთვის და ჩვენი ერთგულებით არ დაიხოცნენ? შუშანიკი ხომ სომეხი იყო? რაჟდენ პირველმოწამე - სპარსი, აბო ტფილელი კი - არაბი. ინტერნეტში, შემთხვევით, ოსი პოეტის, გიორგი კოზაევის ლექსი მოვისმინე საქართველოზე:

„მე სურვილი მაქვს, ეს ლექსები ქართულად ვწერო, და უსასრულოდ, კვლავ თბილისი მსურს ვადღეგრძელო, მივეალერსო, გულში ჩავიკრა ეს მთა და მდელო, მინდა ვიყვირო, თუ როგორ მიყვარს მე საქართველო.“

რამხელა სიყვარული, გულწრფელობა და ერთგულებაა მასში. ნუთუ ეს კაცი ყველა ჩვენგანის სიმდიდრე არაა? ნუღა მომიყვებით ომზე, იმაზე, თუ რა ცუდი და დაუნდობელია მოწინააღმდეგე! ასეთი დიდებული ადამიანები მაჩვენეთ!!!!

თათია ინჯგია
გორის მესამე საჯარო სკოლა
მეთერთმეტე კლასი